

# ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპიკო.

№ 13

კვირა, 28 მაისი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თეთი 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, თრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

**სარჩამი:**—ქართველი ერი და სათათბირო, —ლისა. —კავკასიის ავტონომია თუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები, მ. —ლისა. —საჯარო კრებები და სიტყვის თავისუფლება, თ —ლისა —სი. კედლით დახვება და ეკლესია, ს. ჯ. —ლისა. —რუსეთის ცხოვრება: სათათბირო, ა. ს. —ლისა. რეპეტიცია და რეალუცია, სტუშინისა. —ქალთა შრომა საფრანგეთში, თამარა გოგოლაშვილისა. —ამოძახილი, (ლექსი) დ. თამაშვილისა. —ამერიკელი მუშა; ნ. ტ. —სა. —წინეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში, (დახასრული) ივ. ჯავახიშვილისა. ხანთელი, თ რაზიკაშვილისა.

ლი აშკარა შეიქნება და ეს დაჩაგვრა ხელს შეუშლის ქართველთა კეთილდღეობას, ქართველების წარმომადგენლები პარტიულ ტაქტიკის გულისთვის თვალს აარიდებენ ამ უბედურებს და არ მოითხოვენ ისეთ წესწყობილების შემოღებას, რომელიც სამუდამოდ მოსპობს ამ დაჩაგვრას და ეროვნულ ბრძოლას საქართველოში?

## ძმობილი მრი და სათათბირო.

ყოველსავე გარეშე ადამიანს, უთუოდ, გაუკვირდება სათათბიროს წევრთა არჩევის შედეგი საქართველოში. მართლაც, პარტიის შეხედვით, მეტად საკვირველია, რომ მთელმა ერმა რუსეთის საკანონმდებლო კრებულში თავისი წარმომადგენლობა მხოლოდ ერთ პარტიის წევრებს მიანდო, როგორც უნდა იყოს პარტიის გავლენა ხალხში, იგი მაინც „პარტია“ არის, ერთ კლასის, ხალხის ერთ რომელიმე ნაწილის სურვილთა გამოხატველი და ამიტომ დღეს მთელმა ერმა თუ დანარჩენ პარტიების კანდიდატები განზე დასტოვა და თავისი წარმომადგენლობა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს მიანდო, ამას უთუოდ თავისი მიზეზიც უნდა ჰქონდეს, რომლის გამოკვლევას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით.

ჩვენ ვიტყვი მხოლოდ, რომ, რაკი ქართველ ერს სათათბიროში სხვა ეროვნული წარმომადგენლები არა ჰყავს, არჩეულმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა იკისრონ ეს წარმომადგენლობა და დაიცვან ქართველთა ინტერესები. ყოველივე დაჩაგვრისაგან.

მართლაც, ქართველებისაგან არჩეულ სოციალ-დემოკრატებს სათათბიროში მეტი მოეთხოვება, ვიდრე მათ რუს ამხანაგებს, ნუ თუ იქ, სადაც აშკარა იქნება, რომ რომელიმე მებობელ ერის ბურჟუაზია სხვა და სხვა საშუალებით ცდილობს ქართველების ეროვნულად დაჩაგვრას, ქართველთა სახელით სათათბიროში? წასული სოციალდემოკრატები გაჩემდებიან და ქართველებს დაჩაგვრისაგან არ დაიცავენ? ნუ თუ იქ, სადაც სკოლებში გამარუსებულ პოლიტიკის მოსპობაზე და ნამდვილ ეროვნულ სკოლის შემოღებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ქართველი სოციალდემოკრატები ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერენ და განუმდებინან? ან როცა კავკასიაში შეუგულ რუსეთიდან ხალხის გადმოსახლების დაიწყებენ და ისედაც უმიწაწყლობით შეწყუბუნებულ ქართველ გლეხობას ამ მხრივ უფრო შევიწროვებენ და ქართველ ერის და მათ ქართველ გლეხების წარმომადგენელნი კლასთა ბრძოლაზე დაიწყებენ ლაპარაკს და იტყვიან, ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება კავკასიაში მიწის მფლობელი... ან როცა მებობელ ერთაგან ქართველების დაჩაგვრის სურვი-

თუ ყველა ამ და ანგვარ შემთხვევაში ქართველი სოციალდემოკრატები სათათბიროში გაჩემდებიან და პილატესავით ხელი თუ დაიბანენ, ამით ხელს შეუწყობენ ქართველების დაჩაგვრას, რადგანაც ამაზე ხმის ამომღები სათათბიროში სხვა არავინ არ გამოჩნდება...

სოციალ-დემოკრატებმა, როგორც ქართველების ერთადერთმა წარმომადგენლებმა სათათბიროში, ქართველების ეროვნულ პარტიის მაგიერობა უნდა იკისრონ, თუ უნდათ, რომ ქართველებში მოისპოს ეროვნული დაჩაგვრა და ხალხმა სათათბიროს საშუალებით ახლავე უკეთესად მოაწყოს თავისი ცხოვრება.

—დი.

## კავკასიის ავტონომია თუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები?

უკანასკნელ ხანებში თუ სადმე ჩაგვარდება ლაპარაკი ავტონომიის შესახებ, იმას კი ღღარ ამბობენ, საქირაო თუ არა საზოგადოდ განაპირა ქვეყნებისთვის ავტონომია, არამედ რავარი ავტონომია უნდა მიეცეს ამას თუ იმ ოლქსა და ტერიტორიასაო. საზოგადოდ საკითხი ავტონომიის შესახებ მეტად სერიოზული და რთულია, ხოლო კავკასიაში იგი ერთი ათად რთულდება და მისი სამართლიანი გადაწყვეტაც ძნელდება. ვის ან რას უნდა მიეცეს ავტონომია? მთელ კავკასიის თუ ამიერ-კავკასიის, საქართველოს თუ ქართველებს, სომხეთს თუ სომხებს, ლეკებს თუ დაღესტანს? ეს არის უშთავრესი საკითხი, რომელიც აღვლევებს საერთოდ მთელ კავკასიას და კერძოდ კავკასიის ყველა ერებს, დღემდის ეს საკითხი ცოტად თუ ბევრად შეიმუშავა და გამოიკვლია მხოლოდ ქართულმა ლიტერატურამ, რაც შეეხება სხვა ერებს, ზოგს ჯერ არაფერი უთქვამს, ზოგს კი იმდენად ბუნდოვანად აქვს შემუშავებული ეს საკითხი, რომ მათ აზრის შესახებ გადაჭრილი არაფერი ითქმის.

არაფერს ვიტყვი სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც დღემდის ამ საქმეში ავტონომიის უარყოფის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, მათ ლიტერატურაში საკმაო მასალა მოიპოვება იმის გამოსარკვევად, თუ როგორი ავტონომია სურს ამა თუ იმ პარტიას, ჩვენდა სასიამოვნოდ, ავტონომიის მომხრე ყველა ქართულ პარტიებს თათქმის ერთნაირი გეგმა აქვთ შედგენილი, — ყველა ისინი

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის თხოულობენ.

დღეს დღეობით უთანხმოება არსებობს მხოლოდ ქართველებსა და სომხებს შორის, ვინაიდან ეს უკანასკნელნი უფრო ამიერ კავკასიის ავტონომიის ემხრობიან. მაგრამ ამის შესახებ თვითონ სომხებშიაც არ არსებობს ერთიგვარადი აზრი. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ სომხებშიც უნდა მოითხოვონ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ზოგი ამიერ კავკასიის ავტონომიის დადესტანს, კაბარდოს და საჩჩენთსაც უმატებს და საერთო სეიმს თხოულობს, ზოგი კი მთელ კავკასიის მრავალ კანტონებად ჰყოფს და ყველა ამათ საერთო სეიმში აერთებს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სომხების ზოგიერთი წრე არ უარჰყოფს ცალკე ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებს, მაგრამ იპასუხ თხოულობს, რომ ასეთმა ავტონომიურ ერთეულებმა ფედერაცია უნდა შეადგინონ საერთო სეიმითაო. ქართველებიც არ უარჰყოფენ ამას, მაგრამ შემდეგის განსხვავებათ: სომხების აზრით საქირია და არსდეს ჯერ საერთო სეიმი და შემდეგ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები, ქართველი ავტონომიის ფედერალისტები კი თხოულობენ ჯერ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიების შემოღებას და შემდეგ, თუ საქირია იქნება, მათს შეერთებასაც. გარეგნულად ამ აზრთა განსხვავებას თითქო დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ საკითხს ჩაუყვირდებით და ყოველ მხრივ ავწონ-დაწონავთ განსხვავება ძალიან დიდია. წარმოვიდგინოთ პირველი შემთხვევა: რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებით აღიარებულ იქმნა ამიერ კავკასიის ავტონომია. ამიერ-კავკასიის სეიმს, რასაკვირველია, ნება არ ექნება ამიერ-კავკასია რამდენიმე ნაწილად დაჰყოფს და ავტონომია მიანიჭოს საქართველოს, მაჰმადიანების პროვინციებს და სომხეთს. ამ შემთხვევაში რუსეთის ძირითადი კანონებით სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს შეადგენს ამიერ-კავკასია და არა საქართველო და სომხეთი, რომელნიც ოფიციალურად სრულიად არ არსებობენ. ცხადია, რომ შემდეგ საქართველოს ძალიან გაუჭირდება ავტონომიის მოპოვება და შეიძლება ვეღარც მოიპოვოს ოდესმე.

ესლა წარმოვიდგინოთ მეორე შემთხვევა: ავტონომია მიენიჭათ საქართველოს, სომხეთსა და მაჰმადიანთა პროვინციებს. სამივე ავტონომიურ ერთეულს აუცილებლად ნება უნდა ჰქონდეთ, წყნად მოასუფრებენ, კავშირი შეადგინონ და საერთო კანონები გამოსცენ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებად კანონით აღიარებულ იქნებიან საქართველო, სომხეთი და მაჰმადიანების პროვინცია და არა კავკასია ან ამიერ-კავკასია. პირველ შემთხვევაში ქართველებს, სომხებსა და მაჰმადიანებს ძალიან გაუჭირდებათ ძირითად კანონების შეცვლა და ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიების მიღება, მეორე შემთხვევაში კი ძალიან ადვილია საერთო სეიმის დაარსება და ავტონომიურ ერთეულების შეერთება, რომელსაც ეხლავე თხოულობენ სომხები. ჩვენის აზრით ეს შეერთება უნდა მოხდეს ბუნებრივად, ნებაყოფლობით და იყოს შედეგი მთელ ამიერ-კავკასიის ხალხთა სურვილისა და არა ის ნაძაღვე უღელი, რომელიც ერთ ფარგალში მოათავსებს სხვა და სხვა ერებს. აქედან ცხადად მტკიცდება, რომ ყველა ის, ვინც ჯერ ამიერ-კავკასიის ავტონომიის თხოულობს და შემდეგ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიურ ერთეულებს, ამით ფაქტიურად უარჰყოფს და თითქმის შეუძლებლად ხდის საქართველოსი, სომხეთისა და მაჰმადიანთა პროვინციების ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებს.

როგორც ვხედავთ, იმ საკითხს, თუ ვის ან რას უნდა მიეცეს ავტონომია, —ჯერ ამიერ-კავკასიის და მეორე საქართველოს, თუ ჯერ საქართველოს და მეორე ამიერ-კავკასიის, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეხლავე კავკასიისა ან ამიერ კავკასიის ავტონომიის შემოღებას მეორე უხერხულა მხარეც აქვს. ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში კავკასია ისეთ ფართო ავტონომიის ვერ მიიღებს როგორც აქვს, მაგალითად, კანადას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. ავტონომიურ კავკასიის უფლებანი მეტად განსაზღვრული იქნება და შეიძლება ოლქობრივ თვითმმართველობას ძლივს გადასცდეს. ესლა ვიკითხოთ: ასე შეზღუდულ უფლებიდან რა უნდა მიეცეს საქართველოს და სხვა ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულებს? ამაზე ითქმის: ყვეს რა აქვს, კაქაქს რა მისცესო. თუ ასე მოხდა, საქართველოს მხოლოდ ესლანდელი ერობა დარჩება, მისი უმთავრესი უფლებანი კი შერჩება კავკასიის სეიმს, რომელიც უბრალო ხმის უმეტესობით გადასწყვეტს კავკასიის საერთო საქმეებსაც და ისეთ საკითხებსაც, რომელნიც შეეხებიან მხოლოდ ან საქართველოს, ან სომხეთსა და მაჰმადიანთა პროვინციებს.

ისეთ დიდ და მრავალ ერებით დასახლებულ სახელმწიფოში, როგორც არის რუსეთი, შეუძლებელია ცენტრალისტურ დემოკრატიულ მმართველობის შემოღება. ცოცხელ ოლქსა და ერს აქვს საკუთარი, ადგილობრივი ინტერესები, რომელნიც მხოლოდ ადგილობრივ უნდა გადაწყდეს, რადგან შეუძლებელია პეტერბურგში მოთავსებული ცენტრი ამოდენს აუარებელ საქმეს აუვიდეს და ოლქებისა და ერების მოთხოვნილებანი დროზე დააკმაყოფილოს. ამიტომ საქირია ზოგიერთ საქმეების გადმოტანა ცენტრიდან ადგილობრივ, საქირია აღმინისტრაციული და საკანონმდებლო დეცენტრალიზაცია. თხოულობენ კავკასიის საერთო ავტონომიის და ამასთან ამტკიცებენ, რომ კავკასიის აუარებელი საერთო საქმე აქვსო. ერთი ვიკითხოთ, რა აქვთ საერთო გურულსა და ნახიჩევანელს, იმერელს და ერენელ სომებს, ქართლებსა და დღესტნელ ლეკს, კახელსა და ჩაჩანს? მათ არა აქვთ საერთო არც ენა, არც ლიტერატურა, არც ზნე-ჩვეულებანი, არც უფლებრივი შეგნება, არც წარსული, არც კულტურა და არც საერთო ეკონომიური ინტერესები. მაშ რა აერთებს მათ რაში იყრებიან ერთად მათი ინტერესები და რაში უნდა გამოისატოს მათი ვითომდა საერთო მისწრაფებანი? როგორი კანონი უნდა გამოვიგონოს კავკასიის სეიმში, რომ ეს კანონი ერთნაირად აკმაყოფილებდეს ჩვენსაც და ქართველსაც, ლეკსაც და სომხსაც? თუ კავკასიის ერები ასე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაშასადამე, ვერც საერთო კანონი ექნებათ თავიანთ შინაურ ცხოვრების მოსაგვარებლად, მაშ რა საქირიორ მოპირდაპირეპოლიუსის შეერთება, რა საქირია კავკასიის მოსახლე ერთა ნაძაღვედად გაერთიანება, რა საქირია განმეორება რუსეთის ველურ პოლიტიკისა, რომელიც ყოველთვის მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ცეცხლი და წყალი ერთად მოეთავსებინა, კულტურული პოლონეთი და გაუნათლებელი შუა რუსეთი, საერთო გამარუსებელ საზომით განეზომა, ერთ რუსულ ქვაბში ჩაეყარა და რუსულად მოეხარშა. ყველამ კარგად ვიცით შედეგი ამ პოლიტიკისა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრმა დღემდისაც ვერაფერი ისწავლა და ვერაფერი დაინახა იმთა სურთ ამ უდიდეს შეცდომის განმეორება და პეტერბურგთან რუსულ პოლიტიკის გადმონერგვა საერთო კავკასიაში სეიმში, რომელიც ვერც ქართველებს დააკმაყოფილებს, ვერც სომხებსა და ვერც მაჰმადიანებს.

ჩენი ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია და სომხების კავკასიის ავტონომია ორი მოპირდაპირე პოლიუსია, ორი შეუთრეგებელი მტერია. ჩვენ გვინდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიით შეძლებისადაგვარად შევასუსტოთ ეროვნული წინააღმდეგობა, რომელსაც სომხები ჩვენზე ნაკლებად არ იცნობენ. სომხთა ინტელიგენცია კი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ამ საკითხს უარესად ამწვავებს და ეროვნული შუღლი და ძლიერ ერის მიერ სუსტ ერის დაჩაგვრა შუაგულ კავკასიაში ვაღმობაქვს, რაც ვაქცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე გამარუსებელი პოლიტიკა.

ამ აზრის დასამტკიცებლად შევიხედოთ მომავალ კავკასიის სეიმში. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეხლანდელ კავკასიელ მაჰმადიანებს აერთებს მხოლოდ სარწმუნოება. ლეკსა და შიიტს, ჩეჩენსა და სუნატს საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ ისინი მაინც შეერთებული არიან საერთო სარწმუნოების ნიადაგზე. მათ არა აქვთ არც საერთო ენა, არც საერთო ლიტერატურა, არც წარსული, არც ისტორიული ტრადიციები და არც ცოტად თუ ბევრად ერთნაირი ზენაჩეულებანი, მაგრამ აქვთ საერთო სარწმუნოება, რომელიც აერთებს და აკავშირებს ბაქოელ თათარსაც და ლეკსაც, ჩეჩენსაც და თათარსაც. სარწმუნოებრივ ნიადაგს მეორე საფეხურად ეროვნული დიფერენციაცია უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მოხდება თუ არა ეს დიფერენციაცია კავკასიელ მაჰმადიანებში? ჩვენის აზრით, არ მოხდება და, თუ მოხდა, ეს დიფერენციაცია იმდენად სუსტი იქნება, რომ სრულ კლასიურ დიფერენციაციამდე მაჰმადიანებს საერთო ნიადაგად ექნებათ მხოლოდ სარწმუნოება. მაჰმადიანებში ეროვნული დიფერენციაცია ამიტომ არ მოხდება, რომ მათ შორის ერები არ არსებობს. შეუძლებელია ცალკე ერებზე ჩაითვალოს ლეკები, ჩეჩენები და ყაბორღაელები, რომელთაც არა თუ არა აქვთ ისტორია და ლიტერატურა, არამედ დღემდისაც საკუთარი ანბანი ვერ გაუჩენიათ. მაშასადამე, ცხადია, რომ მომავალ კავკასიის სეიმში მაჰმადიანები შემოვლენ არა როგორც ამა თუ იმ კლასისა და ერის წარმომადგენლები, არამედ როგორც მაჰმადის სარწმუნოების მიმდევარი და მატარებელი. ამასთან მაჰმადიანებს ერთი ორად უფრო მეტი წარმომადგენლები ეყოლებათ, ვიდრე შეერთებულ ქართველებსა და სომხებს.

ახლა ვინახოთ, ვის გაჭვანჭიან ქართველები და სომხები ამავ სეიმში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პოლიტიკური პარტიები ჩნდებიან და ვითარდებიან ეკონომიურ ძალთა ურთიერთობის ნიადაგზე, დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ სომხების მხრით მომავალ სეიმში შევლენ ბურჟუაზიული ლიბერალები, ხოლო ქართველების მხრით—სოციალისტები და რადიკალები. რა გამოვა ასეთ სეიმიდან? არავითარი, ან ყველაფერი, გარდა სერიოზულ და ხალხისთვის სახიფათო საქმისა. გამოვა ის, რაც გამოვიდა ვალიციისა, ჰუნგრეთისა და ბოჰემიის სეიმებიდან: მუდმივი კამათი, ეროვნული შუღლი, განუწყვეტელი ობსტრუქცია და ერთმანეთის წეწვა. ვალიციისა და ბოჰემიის სეიმებში შეერთებულნი არიან ისეთ ერების წარმომადგენლები, რომელთაც ვაქცილებით უფრო მეტი აქვთ საერთო ინტერესები, ვიდრე ქართველებს, სომხებსა და მაჰმადიანებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ავსტრიაში ეროვნულ საკითხს დღესაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰქონდა ამ ორმოცი წლის წინად, როცა ავსტრიის პირველმა პარლამენტმა უარყო განთქმულ რიგებისა და პალიციის წინადადება ერო-

ვნულ-ტერიტორიულ ავტონომიების შესახებ და მიიღო ტერიტორიული ავტონომიები ისტორიულის პრინციპით. ეს იყო უდიდესი შეცდომა ავსტრიის პარლამენტისა, რომელიც ხალხს ძალიან ძვირად დაუჯდა. პროგრესული ელემენტები თითქმის მეორე დღესვე შეუდგნენ ამგვარ ავტონომიების დანგრევას, რომელიც წინა დღეს მიიღეს. მაგრამ ერთხელვე აშენებულ ისტორიულ შენობის დანგრევა ადვილი არ იყო და აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც ამ შენობამ ქვეშ მოიყოლია სხვა და სხვა მოპირდაპირე ელემენტები, რომელნიც თავიანთ უმთავრეს ძალას და ხალხის ენერჯიას ეროვნულ ბრძოლას ანდომებენ. ეხლა ავსტრიის დემოკრატიის მიზანს შეადგენს: ისტორიულ პრინციპზე აშენებულ ტერიტორიულ ავტონომიების მოსპობა და მათ მაგივრად ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიების შემოღება. ამ პრინციპისთვის, — ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიისთვის — ყველაზე თავგამოდებით იბრძვის... ავსტრიის სოც.-დემოკრატიული პარტია, სწავლის მუშათა პარტია, რომლის ღვიძლი ძმა, ჩვენებური სოც.-დემოკრატიული პარტია, უფრო მეტის ენერჯითა და თავგამოდებით იბრძვის იმავე ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის პრინციპს. ჩვენ წინდაწინვე ვიცით პასუხი სოც.-დემოკრატებისა, რომელნიც სიტყვის გაგაწყვეტინებენ და მოგვამახებენ: ავსტრიაში სულ სხვა პირობებია და ჩვენში სულ სხვაო ჩვენ მიუვუკებთ: ამ მხრით ავსტრია და კავკასია საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. იქაც ისევე არიან ერთმანეთში არეული სხვა და სხვა ერები, როგორც კავკასიაში, იქაც ისევე სხვა და სხვა ეროვნული, ეკონომიური და კულტურული ინტერესები აქვთ სხვა და სხვა ერებს, როგორც კავკასიაში. არ არსებობს არავითარი ისეთი „სხვა“ პირობები, რომელნიც აიძულებდნენ ქართველსოც.-დემოკრატებს უარყოფნა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია და მიემხრონ ოლქობრივ (კავკასიისა ან ამიერ-კავკასიის) ავტონომიას. ამ მხრით ჩვენი სოც.-დემოკრატები და სომხების ბურჟუაზია ხელი ხელ ჩაივლებულნი მუშაობენ და ჩვენც ისეთსავე ისტორიულ შეცდომას გვიმზადებენ, რომელმაც განუზომელი ზარალი მიუტანა საზოგადოდ მთელ ავსტრიას და კერძოდ იქაურ ერებს. ავსტრიისა და ჩვენებურ სოც.-დემოკრატების აზრთა წინააღმდეგობაში ავტონომიის შესახებ იმალება რაღაც გაუგებრობა, ჩვენებურ სოც.-დემოკრატების ცხადი შეცდომა და ჩვენც არ შეგვიძლიან არ მივუთითოთ ამ შეცდომაზე და არ ვუარჩიოთ უფრო დაწვრილებით და სერიოზულად შეისწავლონ ეს საკითხი და მერე მიიღონ ესა თუ ის საბოლოო გადაწყვეტილება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საკითხის სერიოზული შესწავლა თვალს აუხელოს ქართველ სოც.-დემოკრატთა იდეოლოგიებს, რომელნიც, — თუ, რასაკვირველია, საკმაო გამბედაობა აღმოაჩნდათ, — გამოტყდებიან თავიანთ შეცდომაში, უარყოფენ უმინაარსო ოლქობრივ ავტონომიის (ან „ფართო თვითმართველობას“) და მოითხოვენ მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას.\*

მ. ად—და.  
(დასასრული იქნება)

\* ჩვენ საზოგადოდ უარვყოფთ ყოველგვარ ავტონომიას, — ახელი იქნება ზოგიერთ სოც.-დემოკრატის პასუხი, მაგრამ ჩვენ იმაზე არ ვლაპარაკობთ. მართალია, პარტიულ პროგრამაში ჯერ-ჯერობით ნახსენები არ არის სიტყვა ავტონომია, მაგრამ ისიც ყველასთვის ცხადია, რომ დღეს თუ ხვალ ეს პარტია „ოფიციალურად“ მიემხრობა საოლქო ავტონომიას.

### საჯარო პრემიები და სოციალისტური თეორიები

ვინც არ ყოფილა ჩვენებურ პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე, ის ვერ გაიგებს, რომ ხშირად სიტყვის თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი ადამიანი, რომელიც ძირიან ფესვიანად სთხრის სხვების ძალმომრეობას, თვითონაც ძალმომრეობას კადრულობს და თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხმის ამოდებას არ აცლის. ამას ახლა უარყოფენ, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, როგორი დარაზმული მოდიოდნენ ერთი პარტიის წევრები კრებებზე, როგორის ვაშის ძახილით ეგებებოდა ეს რაზმი ყოველივე თავის პარტიის წევრისაგან წარმოთქმულ სიტყვას, რომლის შინაარსი კარგად არც კი გაეგონა, და როგორ ყვიროდა, ხმაურობდა, შტვენით და ლანძღვა ვინებით ლაპარაკს უშლიდა იმას, ვინც ამ პარტიის თეორიულ პროგრამას ან ტაქტიკას კრიტიკულად შეეხებოდა.

ჩვენ გვახსოვს, როგორ სარგებლობდა პარტიის ზოგიერთი ორატორი „თავისიანების“ ასეთის ქცევით, როგორ თავმომწონედ, გამარჯვებულივით გამოდიოდა კრებიდან, სადაც თავისი მოწინააღმდეგე „დაამარცხა“ მათის ყვირილითა და ხმაურით. ავტო სალაპარაკოდ წამოიღო ერთი ვიდაცა, ვინ არის, ვინ არისო, ეკითხებიან ერთმანეთს დამსწრენი, ამხანაგია?—არა ბურჟუა! ამბობს ვინმე და ამ ბურჟუა დონათულმა ადამიანმა თვით ქეშმარიტებაც რომ აღიაროს, მისი არავის ესმის: — შირს! არ გვიანდა!“ გაისმის დარბაზში და ამ ყვირილზე მოლაპარაკე ძალია უნებურად ჩუმდება, ვინაიდან ძნელად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელზედაც არავითარი გავლენა არ ჰქონდეს დამსწრეთა ქებას ან ლანძღვა-გინებას. ამნაირად ჩაჩუმებულს კი მისი მოწინააღმდეგე ამხანაგი „დამარცხებულს“ ეძახდა.

გვახსოვს, როგორ შემოდიოდნენ დარაზმული პარტიის წევრები სხვა და სხვა არა საჯარო კრებებზედაც კი, იქაც, სადაც რამოდენიმე ადამიანი, კერძოდ შეკრებილი, ერთმანეთში მოლაპარაკებას და რამე საქმეზე შეთანხმებას აპირებდა, როგორ უშლიდნენ ხელს სხვების შეკრებასა და მოლაპარაკებას. როგორც პოლიცია „მისი აზრით“ მავნებელ და უკანონო კრებას შლიდა და კრებაზე დამსწრეთ ზედტავდა, ისე ზოგიერთი პარტიაც ცდილობდა დაეშურა ყოველი კრება, რომელიც „მისი აზრით“ ხალხისთვის სასარგლო არ იყო. პოლიციელი და პარტიაც, —ორივე „თავის“ შეხედულებას მისდევდა და „თავის“ აზრის გაბატონებას ცდილობდა. პოლიცია და პარტიაც ამით არღვევდა სიტყვის თავისუფლებას, პოლიცია და პარტიაც, —ორივე ძალმომრეობას ადგა. მართლაც წინეთ, 17 ოქტომბრამდისაც, პოლიციის ბატონობის დროს განა არ არსებობდა სრული სიტყვის თავისუფლება... იმათთვის, ვინც პოლიციას ქება დიდებით იხსენიებდა? პარტიაც... თავის მაქებარ-მადიდებელს ანიჭებდა საჯარო კრებებზე სიტყვის თავისუფლებას!

იტყვიან, მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ხალხის შესაკავშირებლად, პარტიულ დისციპლინის გასამტკიცებლად ადამიანი ძალია უნებურად ჩადიოდა ასეთ ძალმომრეობას, —პრინციპილურად თავისუფლების მომხრენი ვართ და ეს მხოლოდ დამსწრეთა გრძობის გარეგანი გამოყენება იყო. მაგრამ საქმის ასეთი ახსნა საკმაო-ისი არ არის. ყოველივე უფლებას მოხმარება სჭირია და მხოლოდ იმ სახელმწიფო დაწესებულებას აქვს სიმკვიდრე, რომელიც თავისუფლად გამოხატავს

ხალხის გრძობასა და ჩვეულებებს, ძალმომრეობას შეჩვეულ ხალხი ყოველივე თავისუფალ დაწესებულებას თავის დასამონაწველ იარაღად გამოიყენებს და, პირიქით, ვერავითარი მონობა, ერთისაგან მეორესი დაჩაგვრა ფებს ვერ მოიკიდებს იქ, სადაც ხალხი შეჩვეულია თავისუფლებას და სადაც საზოგადოება თვითონ ძალადაუტანებლად ცერიდება სხვის დაჩაგვრადამონაწველს.

საფრანგეთში ცეზარიზმის მომხრე ხალხმა საყოველთაო კენჭის ყრით დაიყენა მეფედ ნაპოლეონი მის შემდეგ, რაც წინეთ რევოლუციის დროს კუჩუბზე სისხლს ღვრიდა მეფობის მოსასპობად და რესპუბლიკის შემოსაღებად. ინგლისში კი, სადაც დღეს კიდევ მოუსპობელია უწინდელ დროის კანონები, სადაც კანონით დღესაც უბრალო ქურდი სიკვდილით უნდა ისჯებოდეს, განვითარებულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას შეჩვეულ ხალხისაგან არჩეული მსაჯულები ამ კანონებს ივიწყებენ და ბრალდებულს იმ ახალ კანონებით ასამარლებენ, რომელიც უფრო გამოხატავს ხალხის ახლანდელ შეხედულებას.

ამიტომ პოლიტიკურ და ეკონომიურ რეფორმებისათვის მებრძოლთ არ უნდა ავიწყლებოდნენ, რომ ამასთან ერთად უნდა გარდიქმნას მონობაში აღზრდილ და ერთმანეთის და ჩაგვრა-დამონებას შეჩვეულ ხალხის სისხლოლოგია. სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლმა ადამიანმა, მაგ., უნდა იცოდეს თვითონ სხვისი თავისუფლების პატარისცემა, უნდა შეიძლოს მოწინააღმდეგის სიტყვის მოსმენა, უნდა აცალოს მოწინააღმდეგეს აზრის გამოთქმა.

სწორედ ამ მხრივ მეტად სევდიანსხმა პეტერბურგის ერთ სოციალდემოკრატიულ გაზეთში („ნებსკაია გაზეთი“) დაბეჭდილი სარედაქციო შენიშვნა. გაზეთი ამბობს:

ჩვენი ინტერესი არ მოითხოვს ხალხში გაძლიერებას ბრძოლადილისა, რომელიც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხმამაღალი უფლებასაც არ აძლევს. ასეთი სიძულვილი განებას არ ემორჩილება და ამნაირ საშუალებით მოწინააღმდეგეზე მოპოვებულს გამარჯვებას არავითარი ფასი არა აქვს გრძობაზე აშენებული გულის წყრომა ადვილად იხვევრძობაზე აგებულ თანაგრძობად იქცევა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ ჩვენ კრებებზე ბურჟუაზიულმა პარტიებმა თავიანთი აზრი გამოთქვან, ასეთი კამათი საუკეთესო საშუალება არის ხალხის პოლიტიკურად აღზრდისთვის. ამიტომ უნდა ვეწინააღმდეგოთ „ოვაციებს“, რომელიც ხშირად ლიბერალებს თავისუფლად ლაპარაკის ნებას არ აძლევს.“

ეს რჩევა კარგია ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისთვის, რადგანაც აშკარა არის, რომ ძალმომრეობაზე, მოწინააღმდეგეთ პირში ბურთის ჩაჩრახვ, მოწინააღმდეგე პრესის ბოიკოტზე და ხალხში მხოლოდ ცალმხრივ აზრების გავრცელებაზე „თავისუფლების“ აშენება არ შეიძლება, რადგან ამნაირ ჩვეულებებში აღზრდილი ხალხი, დღეს ერთი პარტიის მომხრე, ხვალ შეიძლება ამავე ჩვეულებებით მის მოწინააღმდეგედ გამოვიდეს.

მხოლოდ თავისუფალ კამათის მოსმენის შემდეგ შეგ შეგებელი რწმენა მტკიცეა და მხოლოდ იმ მომართულს აქვს მტკიცე ნიადაგი და მომავალ ძლიერების იმედი, რომელიც მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად არ მიმართავს ხოლმე ჩაჩუმებას, ძალმომრეობას, ბოიკოტს და ხალხს ცალმხრივ აზროვნებას არ აჩვენებს.

სიკვდილით დასჯა და მალსია

მთავრობის სისასტიკე და დაუნდობლობა სარეველუციო მოძრაობის დამარცხებაში ისეთი არის, ამ სისასტიკემ იმდენი უღანაშაურო ადამიანი იმსხვერპლა, ადამიანის სიკაცხლე ისე გააიფეს სიკვდილით დასჯის განაჩენებმა და თვით ღვანჩენოდ „საეკვო“ და არა საეკვო პირთა მოკვლამ, რომ სათათბიროს შეკრებისთანავე საზოგადოებამ თითქმის ერთხელ მოითხოვა მთავრობისაგან, რომ მას მოესპო სიკვდილით დასჯა.

მართალია, „რუს პატრიოტთა“ წრეებმა ამის მოთხოვნა არ მოისურვეს და, პირიქით, დეპეშებით აცნობეს ხელმწიფეს, სიკვდილით დასჯის გაუქმება შეუძლებლად მიგვიანიათ, — ასეთი დეპეშა ტფილისიდან მამა გოროდცევის „პარტიამაც“ ავირანა, — მაგრამ საზოგადოების ნაძირალთა აზრი სრულებით მოსატანი არ არის იქ, სადაც ხალხის ყველა დანარჩენი ნაწილი, მდგომარეობისა და მიმოათულების განუჩეველად, ერთხმად აცხადებს რამე კანონის საქირებებს.

მხოლოდ ერთი დაწესებულება განზე გაუდგა ამ საერთო მოთხოვნას; ეკლესია, რომელიც რუსეთში ყოველთვის მთავრობის საიდუმლო განზრახვათა აღმასრულებელი ყოფილა, ახლაც ამტკიცებს. სიკვდილით დასჯის საქირებებს. მღვდლებს აქვთ ძალა სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ ეკლესიებში ქადაგება, ამ აქტივობის დარღვევისათვის რამდენიმე უფრო გზები დღელი მღვდელი კიდევ დასჯეს, ცნობილი მიტროპოლიტი ანტონი, „შავრაზმელთა მეთაური და სულის ჩამდგმელი“, ხირდაპირ აღიარებს, სახარებაში სიკვდილით დასჯა აკრძალული როდი არისო, ქრინტიანთა ზნეობრივ მოძღვრების სტენბა: „კაცს ნუ მოჰკლავ“ მხოლოდ კერძოდ ადამიანის სიკვლას გვიკრძალავს და სახელმწიფოსაგან ადამიანის რამე სიკრძალო მოქმედებისათვის სიკვდილით დასჯას არ ეხებაო.

მიტროპოლიტის სიტყვით გამოდის, რომ სარწმუნოებაში ორი ზნეობა ყოფილა: ერთი უბრალო მოსაყვადებათვის და მეორეც მთავრობისათვის და ამა ქვეყნისა ძლიერთათვის, რომ სარწმუნოება ამ უკანასკნელთ ზოგიერთ „შეიკავათს“ აძლევს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სარწმუნოებაში ასეთი განხევაება არ არის; ამ განხევაებას, ამ ორნაირ ზნეობას, მორაზროვან მცნებებს ჰქმნის ეკლესია, მთავრობასთან შეფიქრებული, მთავრობის მოჯამაგირე, მისი ყურმოჰრილი მამა და ბრძანებათა აღმასრულებელი. იქ, სადაც ეკლესიის მორება სახელმწიფოსაგან ჯერ მოხერხებული არ არის და აღვდევლობა სახელმწიფო მოხელედ ითვლება, — ეკლესიაში ზინოცნიკური, ბიუროკრატიული აზროვნება შემოდის. ამ აზროვნების მიხედვით ძლიერი ყოველთვის მართალია და სტი — მტყუნანი, ამ აზროვნების მიხედვით ძლიერს ყოველივე მიიტევება და სუსტს კი — არა.

სწორედ ამიტომ რუსეთის ეკლესიას არასოდეს ხმა არ აუღლია, როდესაც ხელდავდა, რომ ქურდობა, უბრალო მოკვდავთათვის ცოდვად და ბოროტმოქმედებად მიჩნეული, ჰქვეყნის ძლიერებშიაც ფებს იკიდებდა დი მილიონები როდებოდა იმათ ხელში, ვინც თავის საშახურით ან შთამავლობით ვალდებული იყვნ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნათ. ეს დამოკიდებული ეკლესია ცოლქმრობის საქმეში ჰვე ძლიერთ ყოველივე შედევათს აძლევდა; სახელმწიფო მამაგირების შემჩერე ხალხს საომრად ავლუიანებდა, როდ-

საც იცოდა, რომ ეს ომი მხოლოდ რამდენიმე ამა ქვეყნის ძლიერთა პირად ანგაარებით იყო გამოწვეული; ჯვართხელში წინ მიუძღოდა იგი ჯარს და უღანაშაულო მოწინააღმდეგეთ ახცივინებდა, ამავე ბიუროკრატიულ წყობილების ძლიერთა გასამარჯვებლად ლოცვა-კურთხევას და „სასწაულიან“ ხატებს ატანდა სხვა და სხვა სარღლებს. და ახლა, როდესაც გარეშე მტრისაგან დამარცხებული რუსეთის ჯარი შინაურ, უიარალო „მტრებზე“ გამარჯვებას აპირებს, იგივე ზინოცნიკური ეკლესია მას ჰფარველობს და შინაურ მტრების დასამარცხებლად ყოველივე საშუალებით ხელს უწყობს მთავრობას. აღსარების დროს მღვდლები რუსეთში ეკითხებიან სოფლებს, „პატარა წიგნაკები“ და ფურცლები ხომ არ წაგიკითხავს, ან ვისაგან მიგიღიათ, პოლიციელობას არ კმარა და აპირებთ დასჯელ რაზმების უშაგალითო ქცევას და სისასტიკეს. — სახარება სიკვდილით დასჯას არ გვიკრძალავსო!..

რეაქციის გამარჯვების იმედი აქვთ და არ უნდათ თბილი ადგილი და ჯამაგირები დაჰკარგონ, იციან, რომ ბიუროკრატიული მთავრობა მათს დახმარებას არ დაიფიწყებს ისევე, როგორც არ დაიფიწყა მან ცნობილ დუბასოვის სამსახური, რომელმაც მოსკოვი სისხლით შეღება და შეიარაღებულზე მეტი უიარალო ხალხი დანაცა, როგორც არ დაიფიწყა მანვე დურნოვის დეაწი, რომელსაც რეაქციის სული ჩაუღვდა და ამისთვის ხაზინიდან საჩუქრად ორასი ათასი მანეთი მიიღო.

იმისთვის, რომ ეკლესია მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს ადგეს და მორწმუნეთა კრებულის ხელმძღვანელი შეიქნეს სასულიერო და არა სახორციელო საქმეში, აუცილებლად საქირა იმ დამოკიდებულობის მოსპობა, რომელიც ახლაც სამღვდლოვებს და მთავრობას აქვს. ეკლესია უნდა იყოს თავისუფალი, ეკლესიის მრევლად უნდა ითვლებოდეს მხოლოდ ისინი, ვისაც რწამს სარწმუნოება, ვისაც სურს მორწმუნეთა კრებულში ირიცხებოდეს, ვისაც უნდა საღვდლოების სულიერ სამსახურისთვის დანიშნულ ჯამაგირის თავისი წილი იკისროს. თვით მღვდლების მოწვევისა და გადაყენების უფლება უნდა ჩამოერთვას მთავრობას და მორწმუნეთა ხელში გადავიდეს. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ეკლესია პოლიციელობას თავი დაანებოს და ათასნაირ ლოდიკურ ხრიკებით აღარ გაამართლოს სიკვდილით დასჯა. რომელიც იგივე კაცის კვლა არის. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი სვინიდიის და რწმენის თავისუფლება.

ს. ჯ — ლო.

რუსეთის ცხოვრება

სათათბირო

ყველა ცოტად თუ შეტად გამოფიზილებულ ადამიანის ყურადღება ამჟამად სათათბიროსაკენ მიქცეულია. ის დაწესებულება, რომელსაც მასხარად იგდებდენ ზოგიერთები, რომელიც ვენმთავისუფლებელ მოძრაობისთვის თითქმის მანებლად მიიჩნედა, ახლა იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ თვით მისი უარყოფელი ალარაგითარ საშუალებას არ ზოგავენ იმისთვის, რომ ორიოდ თავის წარმომადგენელს სათათბიროს წევრობა აჩვენონ.

თქმა არ უნდა რომ ამ მნიშვნელობას სათათბირო ვერ მიიღებდა, თუ ბოიკოტის ძლიერ განიმსჭვალებოდა საზოგადოება და ხალხის ყველა პროგრესიული ელემენტები

სათათბიროს წევრობას მემარჯვენეებს თუ დაუთმობდნენ და რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია ნაკლებ რადიკალობას თუ გამოიჩინდა. მაშინ სათათბირო, მემარჯვენე ელემენტებისაგან შემდგარი, სრულ მორჩილებას გაუწევდა მთავრობას და ნამდვილ კანცელარიალ შეიქმნებოდა.

მაგრამ მოხდა ის, რასაც სრულებით არ მოელოდნენ ბოიკოტის დოქტრინორები და, ბურჟუაზიულ დემოკრატიის წყალობით, სათათბირო რუსეთის განმათავისფლებელ მოძრაობაში ძლიერ იარაღად გამოდგა.

მართალია, ზოგიერთები ბურჟუაზიულ დემოკრატიის დასამცირებლად ცდილობენ ხალხში სათათბიროს მნიშვნელობა შეამცირონ და ამბობენ, სათათბირო სალაყბოდ არის გადაქცეულიო, მაგრამ ნათ ავიწყდებათ, რომ მათი პარტია საჯარო კრებებზე სიტყვების წარმოთქმას დიდ მნიშვნელობას აძლევს და რომ თვითონაც სულია და გულით ნატრობენ სათათბიროში თავიანთ წევრების არჩევას, რასაც არავითარი ვასამართლებელი საბუთი არ ექნებოდა, რომ სათათბიროს არ ჰქონოდა დიდ მნიშვნელობა ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სათათბიროში მთავრობასთან ბრძოლა ბარიკადებზე თოფ იარაღით გამოსვლას არა ჰვავს და ამიტომ ისინი, ვინც ერთხელვე დაწერილ „რეცეპტებით“ ცდილობენ ყოველ რევოლუციის შექმნას, ამ „მშვიდობიან“ ბრძოლას უარჰყოფენ. მართლაც, რა არის ეს ათასნაირი საპარლამენტო ფორმალობა, თამაჯდომარესი და მის თანაშემწეების არჩევა, სეფე სიტყვის მოსმენა, საპასუხო ადრესის შედგენა, ამ ადრესის საპასუხოდ მთავრობისაგან ახალ განცხადების მიღება, რა არის ეს ამნისტიის მოთხოვნა, სიკვდილით დასჯის მოსაზრებზე გატაცებულ სიტყვების წარმოთქმა, სხვა და სხვა ბორიკტ-მოქმედებაზე შეკითხვა და პასუხის მიუღებლობა, — რა მნიშვნელობა და ფასი აქვს ამ წაჯექექ-უკუჯექობას, როდესაც ხალხი უწინდელივით ჰგმინავს და ოხრავს და ადმინისტრაცია ძველებურად განუკითხავად ნაფარდობს და ყოველივე თავისუფლების გრძნობას სპობს ხალხში? რას აკეთებენ დებუტატები? სად არის მიწა, რომელსაც ასეთის გულის ფანტაზიით მოელის მშრომელი გლეხობა, სად არის თავისუფლება, რომელიც აუცილებელია ხალხისთვის?

საპარლამენტო ბრძოლას შეუჩვეველი ხალხი, რომელიც ზოგიერთებმა დაარწმუნეს, რომ მხოლოდ ბარიკადებით და წითელი დროშის ფრიალით შეიძლება რამე ცვლილების შემოღება სახელმწიფოში, ახლა უკმაყოფილებას, ცხადებს და ამბობს, ჩვენი გაზაზინილი კაცები არაფერს აკეთებენო. ამ აზრის გავრცელებას ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიული პრესაც, რომელიც სახელს უტეხავს „კადეტების“ სათათბიროს, და სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, რომელმაც პეტერბურგში, მაგ. დღეს კრებების სრული თივისუფლება მიიღო, რადგანაც პოლიციამ დაინახა, რომ ამ კრებებზე სოციალ-დემოკრატები მთელ თავის დროს და თავის ნიჰსა და ძალღონეს ანდომებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიის გინებას, სათათბიროს სახელის გატეხას და ამასობაში ივიწყებენ მთავრობას და მის მოქმედებაზე ხმის ამოღებასაც საჭიროდ არ სთვლიან.

პოლიცია ბურჟუაზიულ დემოკრატიის საჯარო კრებების უფლებას არ აძლევს და სოციალდემოკრატებს კი კრების სრულ თავისუფლებას ანიჭებს!..

სოციალ დემოკრატები, რასაკვირველია, მიხედნენ, რომ ეს, პოლიციის მხრივ, პროვოკაცია იყო, რომ უნდოდათ ამით

სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგოდ შეემზადებინათ ბურჟუაზიული დემოკრატია. პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ურჩევენ თავის მოწინააღმდეგეთ, ამ პროვოკაციას ნუ აჰყვებიანო, — მაგრამ იგივე გაზეთები და იგივე პარტია ივიწყებენ, რომ ამ ფაქტში განსაკუთრებით საგულდისხმა მთავრობის სურვილი, — განხეთქილება ჩამოაგდოს და გაძლიეროს სოციალდემოკრატებსა და ბურჟუაზიულ დემოკრატებში, რომ შემდეგ უფრო ადვილად დაამარცხოს მოწინააღმდეგეთა დაქსაქსული ძალები.

მაგრამ მთავრობისაგან ასეთ მტრობის გაძლიერებას თუ პროვოკაციას ვეძახით, პროვოკატორები უნდა ვუწოდოთ იმათაც, ვინც დღეს, როდესაც რევოლუცია ჯერ დასრულებული არ არის, ხალხისაგან მოპოვებულ კულმოკვეცილ თავისუფლებას იმისთვის ხმარობს, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიის გინებით ხალხს რევოლუციის მთავარი მიზანი და ავიწყებინოს და ამით საომოზიციო ძალები შევსუსტოს. პროვოკაციას ეწევა ისიც, ვინც სათათბიროს წევრთა, თუნდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წევრთა, გულწრფელად დაწყობულ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლას ხალხში სახელს უტეხავს და იმის მაგიერად, რომ სათათბიროს ვარდ ზურგი გაუმაგროს ამ ბრძოლას, — სათათბიროს წევრთა ძალას ასუსტებს და ხალხს ეუბნება, მათ ნუ აჰყვებიანო, ისინი მოლაყბე და „თქვენი მტრები“, არიანო.

რატომ უნდა იწყინოს ადამიანი თავისუფლება, თუნდ იგი სხვა პარტიის მოპოვებული შეიქმნას. რად უნდა გადუღვს თავისუფლების საქმეს ადამიანი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ოფიციალურად, სახელით ამ საქმეს სათავეში უდგია მოწინააღმდეგე ან მოკავშირე პარტია. ნუ თუ ხალხის მტრობა არ არის, — საერთო ბრძოლაზე ხელის აღება და მოკავშირესი დასუსტება? ოღონდ ჩემი პარტია გაძლიერდეს, ოღონდ ჩემმა პარტიამ გაითქვას სახელი, თორემ უამისოვ არც თავისუფლება მინდა და არც კეთილდღეობაო, — ეს ხომ უგზურებაა, ამას ხომ ფეოდალურ წყობილების დროს ყოველი ფეოდალი ამბობდა და ამით საერთო საქმეს სამარეს უთხრია.

სათათბირო ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთ-ერთი ძლიერი იარაღია და ამ იარაღის გამოყენება საჭიროა. შეიძლება ამ იარაღით საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა არ მოხერხდეს და ხალხს სხვა, უფრო ძლიერ საშუალებების მოძებნა დასჭირდეს, მაგრამ ღიად ბრძოლაში არც ერთ იარაღის უყურადღებოდ დაგდება არ ვარგა და მით უფრო არ ვარგა ამ იარაღის ძლიერების შესუსტება ხალხში მის საწინააღმდეგო აგიტაციით, მით უფრო მაშინ, როდესაც ან აგიტაციას იწყებს რომელიმე პარტია მხოლოდ იმიტომ, რომ სათათბიროში უმეტესობა სხვა პარტიას ეკუთვნის. ასე რომ მოვიტყუთ, ერთ დღეს ბარიკადების გინებასაც დავიწყებთ, თუ ამ ბარიკადებზე ბურჟუაზიული დემოკრატიაც გამოვიდეს და თუ იქაც მან პიჩელობა დაისაკუთრა.

ხალხს საქმე აწუხებს, ხალხს თავისუფლება და კეთილდღეობა სჭირია და მისთვის უფრო ერთია, პარტიისგან მიიღებს თავისუფლებას. სულ ერთი არ არის იგი მხოლოდ იმათთვის ვინც პარტიაში არის გაბატონებული და ვისთვისაც საქმე სხვა პარტიისაგან გაძლიერდა ხშირად პირად გავლენის შესუსტებას ნიშნავს.

მაგრამ ხალხი ხომ ბოლოს და ბოლოს თავის საკუთარ კუთხეში იტყუება, თავის სარგებლობას ეძებს და იმ გზას ადგება, რომელიც უფრო ადვილად და უფრო უსიფათოდ მის

იყენს მას დასახულ მიზნადის, რომელიც მისცემს მას კეთილდღეობას და თავისუფლებას. ამიტომ ხალხი, რუსეთში მაინც, ზურგს შეუქცევს და ბრძოლას გაუწევს იმათ, ვინც ხელს შეუშლის სათათბიროს მოქმედებას, სულ ერთია მთავრობა იქნება იგი. თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია.

ქ. ს.

**რეაქცია და რევოლუცია**

შენცდარია ის ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ რეაქციამ უკვე დაამარცხა რევოლუცია და რომ ხალხი იძულებული იქნება უწინდელი დემოკრატიის აღმინისტრაციის ძალ-მომრეობას მართალია სათათბიროს საპასუხო აღრესზე, რომელშიც გამოთქმული იყო ხალხის სხვა და სხვა ძირითადი საჭიროება, მთავრობამ უარი გამოაცხადა და ამით ხალხს დაუმტკიცა, რომ წინანდელი განუსაზღვრულ ბატონობის შერჩენა სწყურია, მაგრამ დღეს ხალხი მთავრობის სურჯალსა და მისწრაფებას სხვა თვლით უყურებს და მის ბრძანებასაც აღარ ემორჩილება. ხალხი მომავალ ბედნიერების იმედით და მტარვლებისადმი სიძულვილით აღსავსე არის და, სანამ მისი გული არ გამოცვლილა, ჩვენც სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დღეს თუ არა ხელ მაინც დიად შინაურ ბრძოლაში გამარჯვება ხალხისკენ იქნება.

სწორედ ამ „გულის გამოცვლას“ ცდილობს ძველ წყობილებს დამცველი მთავრობა. „უსუთა ს სხვა და სხვა კუთხეში „დამსჯელ რაზმების“ გაგზავნით, ბრალიანისა და უბრალოსი განუკითხავად გასამართლებით, თავის სისასტიკითა და დაუნდობლობით მან მოისურვა რევოლუციისადმი სიძულვილის გაძლიერება, მას უნდოდა, რომ ხალხს „მონატრებოდა“ უწინდელი მდგომარეობა, რომ ხალხს სისხლით შეღებულ თავისუფლებისთვის ისევე მშვიდობიანი მონობა ერჩია!..“

ამ საშინელ მიზნის მისაღწევად ძველ წყობილების მომხრენი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, — დღეს კიდევ ოდესაში აღმინისტრაციის სახავეში მდგომი პირები საჯაროდ აცხადებენ, მოკლულ პოლიციელების სისხლი უნდა ვიძიოთო; კიევში პროკლამაციებით ხალხს ავონებენ „პოლონელებს და ურებს რუსები არ უნდა დაეჩავგრინოთო. ურიებმა ხელმწიფისაგან ყველა პოლიტიკურ დამნაშავეს განთავისუფლება მოითხოვესო, — მაგრამ მაშინ მთელი რუსეთი ხომ სხვა რუჯულის ხალხს ხელში ჩაუვარდებოაო ჩვენ იარაღი გვაქვს და საჭირო დროს გვერდში ამოვივადებოან კახაკები და უმაღლესი მთავრობაო.“

ხალხის განთავისუფლების მტრები ფხიზლად არიან. მთავრობის ოფიციალურ გაზეთში ყოველ დღე რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან ვილაც საეჭვო პირთა დებეშები იბეჭდება, — ამ დებეშებით ხელმწიფეს სთხოვენ, სათათბიროს ნუ აწყვები, მის-სურვილებს ნუ ასრულებ, ჩვენ სულით და გულით შენი მომხრე და ერთგული მოსამსახურენი ვართო.

ციმბირში, ალბად სხვების ქუთის სასწავლებლად, სამხედრო სასამართლოს წესით სჯიან სამხედრო აღმინისტრაციის უმაღლეს ადგილობრივ წარმომადგენელთ, რომელნიც უკანასკნელ გაფიცვების დროს საჭიროდ არ სთვლდნენ ხალხის დახვედრა-აწიროებას და ცდილობდნენ საქმე მშვიდობიანის გზით მოეწყოთ.

თუმცა ხალხმა თავის წარმომადგენელთა პირით გდაქრით გამოსთქვა თავისი სურვილი, რომ მთავრობამ ყველა პოლიტიკური ტუსადი ახლავე განთავისუფლოს, მაგრამ მთა-

ვრობა, ამ სურვილის ასრულების მაგიერად, კიდევ ახალ „საეჭვო“ კაცებს დაეძებს და ატუსაღებს.

თუმცა ხალხმა საჭიროდ სცნო სიკვდილით დასჯის მოსაზრობა, მაგრამ მთავრობა დღესაც კიდევ სარჩობელაზე აგზავნის იმთ, ვისი ბრალი მხოლოდ ის არის, რომ წინანდელეგობას უწევდნენ აღმინისტრაციის ძალმომრეობას.

თუმცა ხალხმა პასუხისმგებელი სამინისტრო ისურვა, მაგრამ მთავრობამ ამაზედაც უარი გამოაცხადა და ისეთი მინისტრები დაიყენა, რომელნიც წინეთაც ყოველთვის ცნობილი იყვნენ, როგორც ხალხის მტრები და დამმონებენი.

ესეც არ კმარა: ხმა დადის, პეტერბურგის სამხედრო წრეებში რაღაც შეთქმულება მზადდება, რომელსაც მიზნად აქვს სათათბიროს უმთავრეს წევრთა დატუსილება, რუსეთში სამხედრო დიქტატურის გამოცხადება და, ცნობილ ტრეზოვის მეთაურობით, საშინელი სისასტიკითა და სისხლისღვრით თავისუფლებისადმი ყოველივე მისწრაფების აღმოფხვრა; ძველ წყობილების მოწინააღმდეგეთა სიებს აშხადებენ; ვინც ამ სიებსში ჩაინიშნება, — განუსჯელოდ მოჰკლავენ ისე, როგორც სემიონოვის პოლკი ისეთივე სეებით ჰკლავდა ნიკოლოზის რკინის გზაზე გაფიცვის მეთაურებს

საშინელი ამბები მოგველის...

მაგრამ ამ საშინელებით ხალხის სარეველუციო ძალა არ მოისპობა. პირიქით, ძველ წყობილებისადმი ღრმა სიძულვილი უფრო მტკიცე გახდება და ამის გარდა, ბისმარკის თქმისა არ იყოს, ხიშტის წვერზე სახელმწიფო წესწყობილების აგება არ შეიძლება

მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთა სარეაქციო აზროვნება და მისწრაფება სათათბიროს მოქმედების დროს ისეთი აშკარა შეიქმნა, რომ სათათბიროს ერთმა წევრმა, წოდებით მღვდელმა, ვერ მოითმინა და საჯაროდ გამოაცხადა, — „აქეთ რომ მოვიდოდი, მთავრობის იმედი მქონდა და მხოლოდ ეხლა დავინახე და დავრწმუნდი, თუ როგორს თავგასულობამდს მივიდნენ სახელმწიფოს მმართველებიო“. ამა-სვე ხედავს ხალხი ხედავს გლეხობა, რომელიც აქა-იქ ისევ იწყებს აშკარა შეტაკებას აღმინისტრაციის დაბალ მოხელეებთან. გლეხობა ანთავისუფლებს დატუსალებულებს სკემს და იარაღს ართმევს პოლიციელებს და აცხადებს, დღემდის თუ მხოლოდ „მიწა“ გვიწოდოდა, ახლა ვხედავთ, რომ უფლება მოკლებული ადამიანი მიწას ვერ შეირჩენს და ამიტომ ვითხოვთ „თავისუფლებას“, რომ შემდეგ ამ თავისუფლების საშუალებით მიწაც დავისაკუთროთო.

სათათბიროს მოქმედება, რომელიც თავის თავად ჯერ ნაყოფიერი არ არის, ძლიერი აღმზრდელი გამოდგა გლეხობისათვის, რომელიც გაფიცვებით თვალყურს ადევნებს იმას, თუ რას იტყვიან ხალხის წარმომადგენლები ხალხის გაჭირებაზე ან რა ზომას დაასახელებენ მუდამ მშვიერ და მუდამ დამონებულ გლეხის სასარგებლოდ. ამით ნადაგი მზადდება საორგანიზაციოდ, — საერთო მიზნების გარკვევა ერთობის გრძობას ჰქმნის და ამით ადვილებს საერთო ბრძოლას ყველასათვის საჭირო უფლებების მოსაპოვებლად. და რასაც, ვერ იხამს ქალაქის მუშათა თუნდ შეარადებული რაზმები, იმას ადვილად მოახერხებს გლეხობა. მომავალ შეტაკებაში უმთავრესი მნიშვნელობა ექნება გლეხობას და რუსეთის რევოლუცია ბოლოს საგლეხო რევოლუციის სახეს მიიღებს.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაკი გლეხობა იმნება რევოლუციის მომხდენ, ამიტომ ცხადია, რომ იგი

თავის საკუთარ იდეალებს წამოაყენებს და მუდამ სხვის პროგრამებით ხელმძღვანელობს არ მოისურვებს. ვერავითარი პროგრამის შეცვლა, ვერავითარი ტაქტიკური განცხადება სოფლის ხალხს ქალაქის მუშათა აზროვნებას ვერ მიადებინებს და მათ ხელმძღვანელობის ქვეშ ვერ გააჩერებს.

ველ კანონმდებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებისთვის. ეს კანონმდებლობა სულ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა საფრანგეთში. პირველი მუშათა მფარველი კანონი, რომელიც სამუშაო დღის სიდიდეს განსაზღვრავდა, გამოცა 1841 წელს. ეს კანონი იყო შედეგი ვილერმის გამოკვლევისა, რომელმაც აცნობა ქვეყანას საზარელი სურათი სამონაფუქტურო მრეწველობაში მომუშავე ქალების მდგომარეობისა. მან გამოაშკარადა, რომ ლილში სამუშაო დღე ბავშვებისთვისაც კი 14 საათს შეადგენდა, ტურკანში—15 საათს, რუანში—15 1/2, 16 და 17 საათს ლიონის ოლქში 13 და 14 საათს და სხვ. 1841 წლის კანონი შეეხო მხოლოდ მცირე წლოვანთა შრომას და იგი ცოტათი შეამცირა.

1848 წელს გამოცემული კანონი შეეხო სრულ წლოვანთაც,—მან სამუშაო დღე 12 საათით განსაზღვრა. მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში კანონი შესაძლოდ ხდიდა მის გაგრძელებას. შვიდი წლის შემდეგ დებუთათა პალატამ სცადა ამ დროის შემცირება და დაადგინა, რომ 11 საათის სამუშაო დღე დაწესებულიყო ყველა მუშებისათვის, მაგრამ სენატმა ერთგულად დაიცვა ძველი ჩვეულება და არ მიიღო პალატის ვადაწყვეტილება. 1886 წ. მთავრობამ კვლავ წარუდგინა პალატას ამგვარივე კანონპროექტი, მაგრამ კიდევ მთელმა ექვსმა წელიწადმა განვლო, ვიდრე ეს კანონპროექტი დაკანონდებოდა (1892 წ.). ამ კანონით სამუშაო დღე ასე იქნა განსაზღვრული: მცირე წლოვანთათვის, 16 წლამდის 10 საათის მუშაობა დღეში. 16—18 წლის მომუშავეთათვის—არა უმეტეს 60 საათისა კვირაში და დღიურად არა უმეტეს 11 საათისა; მცირეწლოვან (18—21 წ.) და სრულწლოვან ქალებისთვის 11 საათის სამუშაო დღე იქნა დაწესებული.

სტუმარა.

ქალთა შრომა სარგებლოში

(პოლ ლუის თხზულებიდან)

უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში საფრანგეთში სწრაფად განვითარდა იდეა შრომის დაცვისა. მანჩესტერულმა მოძღვრებამ, რომელიც ქადაგებდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საეკონომიო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უკვე მოკმა თავისი დრო... სოციალიზმის გავრცელებამ და მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის განვითარებამ იძულებული ჰყო მთავრობა ძირიანად შეეცვალა თავისი შეხედულება და რეფორმების გზას დასდგოვდა.

მთელ დედამიწაზედ არსად არაა ისეთი ქვეყანა, სადაც ქალები ისეთ როლს ასრულებდნენ მრეწველობაში, როგორც საფრანგეთში. თანახმად ახლანდელ სტატისტიკისა, მრეწველობის სხვა და სხვა დარგში ითვლება 1,869,000 მომუშავე ქალი. ამათგან სართავ მრეწველობაში და ტანისამოსის წარმოებაში მუშაობს 1,578,000 ქალი, სასმელ-საქმელის წარმოებაში—79,000, ქიმიურ და ქაღალდის მრეწველობაში—45,000 და ამდენივე ტყავის მრეწველობაში. საქსოვ მრეწველობაში და ტანისამოსის სამკერვალოებში მომუშავე ქალების რიცხვი დიდია, განსაკუთრებით იმ დეპარტამენტებში, სადაც სართავ—საქსოვი და აბრეშუმის წარმოება განვითარებულია. არდენის დეპარტამენტში ქალები ყველა მუშების 65%-ს შეადგენენ, დროში 58%-ის, ქვედა ალპებში, ტარნაში და გარონაში—56%-ის.

ცხადია, ისეთ ქვეყანაში, სადაც ქალების ასე დიდი ნაწილი მონაწილეობს იღებს მრეწველობაში, მუშათა მფარ-

1893—1900 წლებში პარლამენტი კვლავ შეუდგა მუშათა მფარველ კანონების შემუშავებას. პარლამენტს უნდოდა დაედგინა 10 საათის სამუშაო დღე, სენატი კი 11 საათის მომხრე იყო. რვა საათის სამუშაო დღეს, ამ არსებით ნაწილს სოციალური პროგრამისას, პარლამენტში მხოლოდ 90 ხმა ამოუვიდა 115-ის წინააღმდეგ. ბოლოს ორივე საკანონმდებლო დაწესებულებამ საშუალო გზა ამოირჩია: 1900 წ. 30 მარტს გამოცემულ იქნა კანონი, რომელიც დღემდის მოქმედებს. ამ კანონის ძალით ქალებისათვის სამუშაო დღე შემცირებულ იქნა 1902 წლიდან 10 1/2 საათამდის და 1904 წლიდან—10 საათამდის. ყველა წარმოებაში დაწესებულ იქნა ერთ განსაზღვრულ დროს დასვენება ყველასათვის. დამით მუშაობასაც კანონი აწესრიგებს. ღამის საათები ითვლება საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე. პრინციპიალურად აკრძალულია ორ რიგად (შეცვლით) მუშაობა.

ეს კანონი მეტებმა მრეწველობაში მომუშავეებს, ხოლო ვაჭრობა „თავისუფლად“ დატოვებული. საფრანგეთის კანონი დღემდის სრულიად უუურადღებოდ სტოვებს ნოქარ ქალების მდგომარეობას. მხოლოდ 1900 წ. 29 დეკემბერს გამოიცა მოკლე დადგენილება, რომელიც ავალედა ყველა მალაზიის პატრონებს შეემინათ საჯდომი სკამები ნოქარებისთვის. მაგრამ ეს დადგენილება ოდნავდაც ვერ აღწევს თავის მიზანს. მართალია, ბევრმა მალაზიის პატრონებმა შეიძინეს სკამები, მაგრამ ნოქარ ქალებს ნება არ აქვთ ამ სკამებით ისარგებლონ. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ნოქარ ქალთათვის კანონით არავითარი დასასვენებელი დრო არაა დაწესებული. შეუძლიათ ამუშაონ ყოველ კვირა დღესაც



და სამუშაო დღე გააგრძელონ შუალამემდის. არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც საზღვარს უდებდეს დამქირავლების თვითნებობას.

ამ მხრით მრეწველობაში მომუშავე ქალთა მფარველ კანონებსაც მცირე მნიშვნელობა აქვს. ყოველი ახალი დადგენილება ჰქმნის ახალ ნიადაგს შრომის დაქვის პირების დასარღვევად. მწარმოებელი ყოველ საშუალებით ცდილობენ, კანონს გვერდი აუხვიონ და სამუშაო დღე გაადიდონ. საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშებში აღუარებელი შემთხვევებია აღნიშნული, რომელნიც ამტკიცებენ ამ გარემოებას. კანონის დარღვევას განსაკუთრებით აადვილებს ის გარემოება, რომ თვით კანონი წარმოების ზოგიერთ დარგის მწარმოებლებს ნებას აძლევს, სამუშაო დღე გააგრძელონ და დაწესებული ყოველ-კვირული დასვენება მუშებისა მოსპონ. 1900 წელს გამოცემულ ცირკულიარით წელიწადში 60 დღეს შეიძლება 12 საათამდე იქმნეს მუშაობა გაგრძელებული და წელიწადში 15-ჯერ შეიძლება არ მიეცეს მუშებს ყოველკვირული დასვენების დრო. 1902 წელს გამოცემულ ცირკულიარით 30 დღე მიემატა კრძელ დღეების რიცხვს. ამ შედეგით, რასაკვირველია, ხელგაშლილად სარგებლობენ მწარმოებელი და, როცა უნდათ აგრძელებენ სამუშაო დღეს. მარტო პარიჟში სტატისტიკით აღნიშნულია 1902 წლამდის 324000 ნორმაზე გადაცილებული სამუშაო დღე მომუშავე ქალთათვის (1902 წ—კი 754000) და ამასთანავე მუშაობა არ შეწყვეტილა 66000 დასასვენებელ დღეში) 1902—წ 55000). რადგან ნებარვის რაოდენობა მატულობს, საქირო ხდება აღუარებელი ოქმების შედგენა და მე მუდამ უნდა პროტესტი ვაცხადო ამის წინააღმდეგო, ამბობს ერთი საფაბრიკო ინსპექტორი. კანონის დარღვევის შემთხვევები უთვალავია, რადგან, როგორც ოფიციალური ანგარიშები ამოწმებენ, ყოველი მეთვალყურეობა მხოლოდ ფიქტიურია. კანონის დარღვევა სულ უფრო და უფრო ხშირი ხდება. 1903 წელს ინსპექტორებმა აღნიშნეს 6121 შემთხვევა დაწესებული დღის გაგრძელებისა. ბავშვების შრომის შესახებ კანონის დარღვევა თითქმის ორჯერ უფრო ხშირი იყო წარსულ წელთან შედარებით! როდესაც საქმე სასამართლომდის მიდის, მრეწველები აკიანურებენ საჩივარს თვით კანონში მოქცეულ შედეგათვის წყალობით, რომელიც მეტად ფართო ასპარეზს აძლევს მათ თვითნებობას.

თამაზა გოგოლაშვილი

ამოძახილი

სამშობლოს მიწა ამბობდა: მტერს როგორ გავახარებო? მზეს დავუბნელებ უწინამც, სიცოცხლეს ჩავამწარებო!..

აგი და მწარე დღეები ოღონდაც ხშირად მწვევია და ისტორიულ ქართველს თვით მეტი დაუფრქვევია; სკვით-ბარბაროსი ველური მახვილით შემომსვევია, მაგრამ კაპანი ერისა მაინც წინ გამიწვევია.

ზღვით-ღელვით, ტალღა ნასროლი მრავალჯერ დამკვეთებია, წამებს მოუსრავს, რაც წლობით მიშენებ - მიკეთებია; მაგრამ სიმტკიცე რაინდის მარადის რჯულად მდებია და ბოლოს იგი მიქნია, რაც გულში ცეცხლად მთებია!..

